**Diana Tkebuchava**
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Doctor of Philology (Media Studies), Professor,
Academic Research Coordinator at BRAMS Institute

# DONALD TRUMP AND THE MEDIA

(Abstract)

KEYWORDS: Donald Trump, inauguration, authentic, tweets, creative, USA, Georgia, media

The world, torn by war, awaits the inauguration of the 47th President of the United States — and so does Georgia. What will America be like during the next four years of Donald Trump's second term? His inaugural messages offer clues.

Events in the superpower and any ensuing global redistribution of power will affect a territorially small country, such as Georgia. It will again have to cross the precarious bridge of world politics, demonstrating the patience of Job, the wisdom of Solomon and the prudence of ancient builders — skills required to maintain balance on an unstable planet in the turbulent twenty-first century.

It would be naïve to expect the 47th President to wave a magic wand and calm a world already engulfed in multiple conflicts. Like many predecessors, Trump is likely to prioritise domestic problems and the interests of his own citizens — a natural and predictable stance.

There is reason for guarded optimism: Trump's public output and stated priorities overlap in part with Georgia's


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

interests. Since 1987, he has published some twenty-two books, mostly manuals and advice on business and personal success. His most recent book, Save America (published 3 September 2024), presents him — after the assassination attempt in Pennsylvania on 13 July — as a figure who survived and now casts that survival as a mandate to "save" the nation; the volume quickly became a commercial bestseller.

Trump's re-election ensures he remains at the centre of media attention. He continues to defend his positions and, as part of a broad programme to restore America's perceived former standing, has shown interest in questions around the media's dignity, impartiality and neutrality.

Trump's essays merit separate scholarly attention. His essay collection, *Think As a Champion*, has long been a useful teaching resource in my work with student journalists. Published well before his presidency, the book addresses young readers and distils the author's professional and personal experience. The life of a billionaire businessman whose name became a global brand provides rich material for analysis by young adults beginning their careers. Direct, candid and often practical, the book offers numerous tips on success, leadership and their implications.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ბრამსის ინსტიტუტის აკადემიური კვლევების კოორდინატორი

# დონალდ ტრამპი და მედია

საკვანძო სიტყვები: ტრამპი, ინაუგურაცია, აუტენტური, ტვიტები, კრეატიული, აშშ, საქართველო, მედია

ორიოდ დღეში ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტის ინაუგურაციას ელის ომებით გათანგული მსოფლიო. საქართველოც, მათ შორის. საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ქართველმა დიპლომატმა კახა სიხარულიძემ ტელეინტერვიუში: „რამდენნაირი პრეზიდენტიცაა ამერიკაში, იმდენნაირი ამერიკა არის ხოლმეო“.[1] თუ სუპერსახელმწიფოს პრეზიდენტთა გრძელ სიას გადავხედავთ ამერიკის არსებობის ორსაუკუნენახევრის განმავლობაში, დიდწილად, ასეცაა.

როგორი იქნება მეორე ვადით არჩეული დონალდ ტრამპის პერიოდის ამერიკა მომავალი 4 წლის განმავლობაში, ამის თაობაზე მისი წინასაინაუგურაციო გზავნილებიც[2] გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. ცხადია, სუპერსახელმწიფოში განვითარებულ მოვლენებსა და მოახლოებულ მსოფლიო გადანაწილებას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ჩვენს პატარა საქართველოზეც, რომელსაც ათასმეერთედ მოუწევს მსოფლიო პოლიტიკის ბეწვის ხიდზე გავლა; იობის მოთმინება, სოლომონ მეფის სიბრძნე, ჯვარისა თუ სვეტიცხოველის აღმშენებელთა ზომიერება და სიფრთხილე მართებს 21-ე საუკუნის მოტორტმანე, ჩვენს არცთუ უწყინარ პლანეტაზე წონასწორობის შესანარჩუნებლად.



BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ბოლო ერთი წელიწადია, ალბათ, არ დარჩენილა ექსპერტი თუ ანალიტიკოსი, ტელევიზია თუ გადაცემა, გაზეთი თუ ჟურნალი, დონალდ ტრამპის მომავალი მმართველობის ნიუანსები არ განეხილა და გაეანალიზებინა. თითქოსდა, აღარაფერი დარჩა სათქმელი. ჩვენ საკუთარი ნიშა, განსხვავებული თემა შევარჩიეთ – დონალდ ტრამპი და მედია – ტრამპის პუბლიცისტიკა.

წლების წინათ ვაშინგტონის (კოლუმბიის ოლქი) ერთ უზარმაზარ წიგნის მაღაზიაში (მაშინ „ამაზონი“ ჯერ კიდევ არ იყო ესოდენ პოპულარული) საოცრად საინტერესო, ჭკვიანურად დაწერილ წიგნს წავაწყდი, ამერიკელი ფსიქოლოგების – მიურიელ ჯეიმსისა და დოროთი ჯანგვარდის მონოგრაფიას „გამარჯვებისთვის დაბადებულნი“.[3]

ამ საკმაოდ სქელტანიანი გამოცემის უმთავრესი იდეა ასეთი იყო: „ჩვენთვის გამარჯვებული ისაა, ვინც აუტენტურად (resp.: ადეკვატურად, ლოგიკურად, რეალობის შესაბამისად) რეაგირებს ყველაფერზე, როგორც ღირსეულ პიროვნებასა და საზოგადოების წევრს ეკადრება; ავლენს ნდობას, მზრუნველობას, პასუხისმგებლობასა და სიწრფელეს. დამარცხებული კი ისაა, ვისაც არ გამოსდის იყოს აუტენტური...“.[4]

პირველი ვადით არჩევისას ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტს ტრადიციულ მედიასთან ურთიერთობას ალტერნატული გზა ერჩია,[5] რომელსაც თავად გააკონტროლებდა. მეინსტრიმულ მედიაში მისი ინტერვიუებისა და საჯარო განცხადებების მომლოდინე მედიააუდიტორიას სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელი შერჩა ხელთ.

დონალდ ტრამპის ტვიტებით კომუნიკაციის სიყვარული არაერთგზის გახდა კრიტიკის ობიექტი,[6] საქილიკოც კი, მაგრამ მას ამის გამო პოზიცია არ შეუცვლია. მიმები[7] უშურველად მოუმრავლეს არაორდინალურ პოლიტიკოსს. ამგვარად, დონალდ



BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ტრამპმა საკუთარ თავს ტვიტებისა და მიმების პრეზიდენტის იმიჯი შეუქმნა.

ვფიქრობ, ამერიკულ მედიასთან დონალდ ტრამპის იმჟამინდელი ურთიერთობა ცალსახად აჩვენებს, რომ იგი დიდწილად აუტენტური პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს და „გამარჯვებისთვის დაბადებულის“ სტერეოტიპს ერგება. ამერიკის 45-ე პრეზიდენტის პოლიტიკური პლატფორმა მოიცავდა პოლიტიკურ რიმეიქებსა და თამამ, ხშირად უჩვეულო სიახლეებსაც. ტრამპიზმები, ერთი შეხედვით, თითქოს, ბუშიზმებს წააგავს, მაგრამ ასე მხოლოდ პოლიტიკურად გამოუცდელ ადამიანს თუ მოეჩვენება: უმცროსი ბუშის შემთხვევაში ალოგიკური და ანეკდოტური პათოსი ჭარბობს, რეალური ქმედების გამორიცხვით. ტრამპის პოზიცია სტაბილურობით გამოირჩევა, მეთოდები უცვლელია და ნებისმიერი მსმენელისთვის იოლადაღსაქმელ, კონკრეტულ ნაბიჯებს წარმოაჩენს.[8]

2016 წელს დონალდ ტრამპი ამერიკულმა ჟურნალმა „ტაიმმა“ წლის ადამიანად გამოაცხადა.[9] სიაში მის შემდეგ პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატი ჰილარი კლინტონი, ჰაკერები და თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი იყო.

გამარჯვებული პრეზიდენტის უპირატესობა, რის წყალობითაც გაპრეზიდენტების მრავალწლიანი გეგმა წარმატებით შეასრულა, მისი არაორდინალური, ორიგინალური, კრეატიული (resp.: შემოქმედებითი) აზროვნების შედეგი გამოდგა. 2015 წელს ფლორიდაში სიტყვით გამოსვლის დროს დონალდ ტრამპმა განაცხადა: „რათა ამერიკა კვლავ დიდი და დიდებული გავხადოთ, მე ამ ღამით ჩემს კანდიდატურას ვაყენებ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში“.[10]

მარტინ ლუთერ კინგიდან მოყოლებული, ამერიკის უზენაესი მმართველი ძალა „ამერიკულ ოცნებას“ უფრიალებდა მასებს. დონალდ ტრამპმა ყავლგასულად და გაცვეთილად მიიჩნია ეს ტერმინი და რონალდ რეიგანის სლოგანის: „დავუბრუნოთ ამერიკას ძველი

დიდება“,[11] პერიფრაზი გამოიყენა, რითაც საკუთარი ორიგინალური ხედვა და გეგმები შესთავაზა დანარჩენ მსოფლიოსაც. სწორედ იმ რონალდ უილსონ რეიგანისა, რომელმაც ჯერ კიდევ 1975 წელს, ინტერვიუს დროს, საკუთარ ეკონომიკურ ხედვებზე საუბრისას განაცხადა: „ამერიკა დგას ოთხ მთავარ ღირებულებაზე: ღმერთისადმი რწმენა, სიტყვის თავისუფლება, ოჯახის ინსტიტუტი და ეკონომიკური თავისუფლება. თუ ოდესმე ფაშიზმი მოვა ამერიკაში, იგი მოვა ლიბერალიზმის სახით“.[12]

აღარავისთვისაა საიდუმლო, რომ ლიბერალიზმის მანტიაში შეფუთული ფაშიზმის აჩრდილი, კარგა ხანია, არცთუ იშვიათად დააბიჯებს ბროდვეიზეც, ევროპულ სივრცეშიც, აბობოქრებულ რუსთაველზეც... მოგვწონს თუ არა ეს, პირველყოვლისა, სწორედ ამასთან გამკლავება მოგვიწევს.

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ ამერიკის 47-ე პრეზიდენტი ჯადოსნური ჯოხის აქნევით დაამშვიდებს ცეცხლის ალში გახვეულ, დიდწილად, შეშლილ სამყაროს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დონალდ ტრამპი, ისევე, როგორც მისი არაერთი წინამორბედი, პირველ ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის, საკუთარი ხალხის პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული, რაც სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია. იმედისმომცემი ისაა, რომ დონალდ ტრამპის ფასეულობრივი კრიტერიუმები, ინტერესები, პოლიტიკური შეხედულებები, დიდწილად, ემთხვევა ჩვენი ქვეყნისას.

განათლებითა და პროფესიით ბიზნესმენმა დონალდ ტრამპმა პოლიტიკური ასპარეზისთვის მზადება მედიის მრავალფეროვნების ეტაპობრივი ათვისებით დაიწყო. 1985-2012 წლებში იგი 15 მხატვრულ ფილმსა და 23 ტელესერიალში გამოჩნდა ეპიზოდურად. მონაწილეობდა რამდენიმე მუსიკალურ კლიპსა და რეკლამაში. 2004-2005 წლებში ტრამპმა კიდევ უფრო გაზარდა და გაამყარა საკუთარი მედიაპოპულარობა მასსაზოგადოებაში ამერიკული ბიზნეს რეალითი-შოუს „შეგირდი“[13] (ზოგ


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვარიანტში თარგმნეს, როგორც „კანდიდატი“) წამყვანისა და პროდიუსერის, მოგვიანებით – საქველმოქმედო დანიშნულების რეალითი-შოუს „ცნობილი შეგირდის“ თანაწამყვანის ამპლუაში.

1987 წლიდან მოყოლებული დღემდე დონალდ ტრამპმა გამოსცა, ძირითადად, ბიზნესსა თუ პირად ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუქციებითა და რჩევებით სავსე 22 წიგნი.[14] ბოლო წიგნმა, „გადავარჩინოთ ამერიკა“,[15] 2024 წლის 3 სექტემბერს იხილა დღის სინათლე. წინა ყდაზე მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლურობითაა გამოსახული თავად ავტორი 13 ივლისს მასზე პენსილვანიაში სიტყვით გამოსვლისას განხორციელებული თავდასხმის შემდეგ.[16] ტერაქტს სასწაულებრივად გადარჩენილი პოლიტიკოსი ბედისწერის ამ საჩუქარს ალეგორიულად უკავშირებს მისი სამშობლოს გადარჩენის პერსპექტივას. ეს 100-დოლარიანი წიგნი ბესტსელერად იქცა აშშ-ში.

მეორე ვადით არჩეული ამერიკის 47-ე პრეზიდენტი კვლავ მედიის ყურადღების ეპიცენტრშია. არც თავად თმობს პოზიციებს და, ამერიკის ძველი დიდების დაბრუნების მასშტაბური პროგრამის ფარგლებში, აქტიურად მოიაზრებს მედიის ღირსების, მისი მიუკერძოებლობისა და პირუთვნელობის გამყარების პრობლემათა გადაწყვეტის გზებს. ჩანს, „ცივი ომი“ მედიასთან არ დასრულებულა, მაგრამ, როგორც იტყვიან: „ქარავანი მიდის...“

ცალკე თემაა დონალდ ტრამპის პუბლიცისტიკა.

მისი ესეისტური კრებული „იფიქრე ჩემპიონივით“,[17] უკვე წლებია აუცილებელი საილუსტრაციო მასალა გახდა სტუდენტ-ჟურნალისტებთან ჩემი სალექციო მუშაობისას. გაპრეზიდენტებამდე კარგა ხნით ადრე, 21-ე საუკუნის დასაწყისში გამოსული წიგნის ავტორი ახალგაზრდებს მიმართავს და უშურველად უზიარებს თავის უმდიდრეს გამოცდილებას, პროფესიულსაც და ადამიანურსაც, ცხოვრებისეულსაც, როგორც

მილიარდერი ბიზნესმენი, რომლის მხოლოდ სახელიც, უკვე მაშინ, ბრენდი იყო არა მხოლოდ ამერიკაში.

ეს, ამერიკელი ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი, უშუალობითა და გულღიაობით, კეთილგანწყობით გამორჩეული ნაშრომი არაერთ სასარგებლო პრაქტიკულ რჩევას შეიცავს წარმატების საიდუმლოებათა, ლიდერობის ნიუანსებისა და მისთანათა თვალსაზრისით. მხოლოდ წიგნის სათაურიც რაოდენ დამაინტრიგებელი და ეფექტურია, მითუფრო, ქართველი ახალგაზრდობისათვის, ვისაც გენეტიკურად მოსდგამს „ჩემპიონობის“, გამარჯვების, პირველობის, წარმატების ჟინი და გზნება. ამდენად, წიგნი დიდ ინტერესს იწვევს სტუდენტებში.

გამოვყოფთ რამდენიმე პასაჟს.

„არც ისე ჭკვიანი ვარ, უბრალოდ, უფრო დიდხანს ვფიქრობ პრობლემის გადაჭრაზე...“[18] ამას წერს, არც მეტი, არც ნაკლები, თვით ალბერტ აინშტაინი და დონალდ ტრამპის მიერ წიგნის ერთ-ერთი თავის ეპიგრაფად გამოტანილ ამ ფრაზას მოჰყვება სტატია: „გამარჯვებულები პრობლემებს უყურებენ, როგორც გზას, შესაძლებლობების გამოსავლენად...“[19] სტატიაში ავტორი ეფექტური შედარებების, პარალელების გამოყენებით ასაბუთებს ამ დებულებას: „პრობლემები გონების სავარჯიშოებია; პრობლემები, შესაძლოა, შესაძლებლობად იქცნენ“ – წერს იგი და იქვე განმარტავს: „მოვლენას სახელს თუ შევუცვლით, საოცრად შეიცვლება მისდამი თქვენი დამოკიდებულება.

ზოგი ადამიანი ჭადრაკს თამაშად აღიქვამს, მაგრამ, ჭადრაკი ხომ ხელოვნებაა, მეცნიერებაა და პრობლემათა გადაჭრის სავარჯიშო. ჩვენ ყველანი, შესაძლოა, ჭადრაკში არ ვიყოთ ჩემპიონები, მაგრამ ძალგვიძს ბევრი რამ ვისწავლოთ ამ ბრძნული თამაშის ანალოგიით, პრობლემათა გადაჭრის თაობაზე. ვიცნობ პიროვნებებს, რომლებიც სირთულეებს ხვდებიან, როგორც გამოწვევას, თამაშს, რომელიც უნდა მოიგო. სხვანი კი სირთულეებს

მძიმე ტვირთად აღიქვამენ, რითაც კიდევ ერთ წინაღობას ქმნიან, კიდევ ერთ პრობლემას იმატებენ.

მთავარია მიზანი და არა – პრობლემა“.[20]

ძალზე ორიგინალურად მიჰყავს მკითხველი ავტორს ლოგიკურ დასკვნამდე, ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვის ლაბირინთებში: „როგორ შეიძლება გახდე ნოვატორი?“. იგი ეფექტური, უმარტივესი ნიმუშებით აანალიზებს და ახსნის რთულს, უცნობს. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება დეტალების[21] დანახვისა და გაანალიზების უნარს. ტრამპს თვალსაჩინო ნიმუშად მოჰყავს კომპოზიტორ სტივ რაიხის ახალი იდეა, რასაც „ფაზირება“ ეწოდა და რითაც კომპოზიტორმა დიდი გავლენა მოახდინა საკომპოზიციო ხელოვნებაზე. არადა, ყველაფერი ბანალური ყოფითი დეტალის გაანალიზებას მოჰყვა: ერთ წვიმიან დღეს საგზაო საცობში შეყოვნებულმა კომპოზიტორმა ყურადღება მიაქცია ავტომანქანების საქარე მინის მწმენდავთა მოძრაობის რიტმს და მუსიკალური კომპოზიციის საფუძვლად აქცია.

საინტერესოდ საუბრობს ტრამპი გუნდური მოთამაშის მნიშვნელობაზე საქმიანობის ნებისმიერ სფეროში და ნიმუშად მოჰყავს NBC-ის შოუში მონაწილეობის პერიპეტიები, როცა პოპულარული ტელეჟურნალისტისა და ავტორის, ტომ ბროკოუს მადლობამ თავი ამ გუნდის სრულფასოვან წევრად აგრძნობინა: „გირჩევთ, სათანადოდ დააფასოთ გუნდის ძალა და თქვენც მისი მნიშვნელოვანი და გავლენიანი მოთამაშე გახდებით“.[22]

დონალდ ტრამპის მომდევნო შეგონება ჩემპიონობისკენ სავალ გზაზე ასეთია: „ისწავლეთ სწრაფად ფიქრი“. „შეგიმჩნევიათ, როგორ აქტიურდება გონება რთულ სიტუაციებში? ადრენალინის გამოყოფა გიძლიერდებათ და ახალი ენერგია გემატებათ. თუ ყოველ დღეს საკუთარი ძალების გამოწვევად მიიღებთ, გაგიკვირდებათ, რამდენი რამის მოსწრება და რა ეფექტურად მუშაობა შეგძლებიათ... სწრაფი აზროვნება ვარჯიშისა და დისციპლინის შედეგია. არ შეიძლება წინ

ისე გაიჭრა, რომ მზად არ იყო... თქვენი ამოცანაა მოემზადოთ რბოლისათვის. მხოლოდ სურვილით თუ შემოიფარგლეთ და მის განხორციელებაზე არ იზრუნეთ, არაფერი გამოგივათ...

ფიქრს დრო სჭირდება. სწრაფი აზროვნება ვარჯიშს მოითხოვს. ზოგადად კი, ყველაფერს თავისი დრო აქვს: ჯერ სიარულს ვსწავლობთ, მერე – სირბილს. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ რბოლაში ჩაბმას.

აზრი ქმედების გარეშე არაფერია! დიდი იდეები დიდ იდეებად შეგრჩებათ, თუ აქტიურად არ იმოქმედებთ მათ განსახორციელებლად.

სპორტსმენებმა კარგად იციან, რომ მათ ნაცვლად სხვა ვერ გაივლის წვრთნებს. ეს ნებისმიერ პროფესიაში, ნებისმიერ საქმეში კარგად უნდა გავაცნობიეროთ და სულ გვახსოვდეს.

წინასწარ მომზადების მნიშვნელობა უსაზღვროა და თუ რბოლაში კარგი დროის ჩვენება გინდათ, ეცადეთ წინასწარ ივარჯიშოთ სწრაფ აზროვნებაში“.[23]

ანალოგიურად, საქმიანი და პრაქტიკული რჩევების შემცველია ისეთი პრობლემებისადმი მიძღვნილი თავები, როგორიცაა: სწრაფვა მთლიანობისკენ, იფიქრეთ თანმიმდევრულად, ებრძოლეთ საკუთარ შიშებს, წარმოსახვა – ფინანსური საზრისიანობის გასაღები, განეწყვეთ მუშაობისთვის, შეინარჩუნეთ ტემპი, იარეთ დინების საწინააღმდეგოდ, იაზროვნეთ პოზიტიურად და მისთ.

გამორჩეულად საინტერესოა „კარგი, ცუდი და ბოროტი ტალღა“, სადაც ავტორი გვაფრთხილებს: „აბსოლუტური გარანტიები არ არსებობს, ამიტომაც აუცილებელია სიფრთხილე. სიფხიზლე არ უნდა მოადუნოთ. ყურადღება პოზიტიურ მხარეებზე გაამახვილეთ, ოღონდ ნურც „მეკობრეების“ არსებობას დაივიწყებთ“.[24]

ანალოგიურად, უმნიშვნელოვანესია შეგონება: „თუ საკუთარი რეპუტაციის შექმნისას მხოლოდ სამ სიტყვას უნდა დავეყრდნო, ეს სამი სიტყვა იქნება:

პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი და საიმედოობა. შეიქმენით სანიმუშო სახელი ინტელექტზე, პასუხისმგებლობასა და შედეგიანობაზე დამყარებით. ასე იქცევიან საუკეთესონი“.[25]

ერთ-ერთ თავს წიგნში პითაგორას სიტყვები უძღვის ეპიგრაფად: „ყოველი მთავრობა იწყება ჩვენი ახალგაზრდობის განათლებით“.[26] აქ დონალდ ტრამპი განათლების უდიდეს მნიშვნელობაზე მსჯელობს: „ცოდნა არასოდეს ყოფილა ისეთი ხელმისაწვდომი, როგორც დღეს. მინდა სოკრატეს ცნობილი გამონათქვამი შეგახსენოთ: „მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“, თამამი და გაბედული ნათქვამია ღირსეული მეცნიერისა და ფილოსოფოსის, თუმცა, ეს სიტყვები გამუდმებით ახალ-ახალი ცოდნისაკენ უბიძგებდა მას“.

ახალგაზრდებო, ყოველი დღე დაიწყეთ ახალი ფურცლიდან, გაიხსენით გონება და შანსი მიეცით ახალ წამოწყებას. მეცნიერება არასოდეს მიიჩნიოთ მოსაწყენად, სწავლა კი მძიმე ტვირთად. რასაკვირველია, გარკვეული ძალისხმევა და ნებისყოფა დაგჭირდებათ, მაგრამ, ამასთანავე, ნამდვილი თავგადასავლების შუაგულში აღმოჩნდებით.

ბიზნესი იმ აზრით რომ დამეწყო, თითქოს, ყველაფერი ვიცოდი, ნაბიჯის გადადგმასაც ვერ მოვასწრებდი, ისე ჩავიძირებოდი...

გახსოვდეთ ჩემი წიგნის „იფიქრე ჩემპიონივით“ პირველი სიტყვა – „იფიქრე!“ ფიქრი პირველი ნაბიჯია... პერსპექტივაში კი დიდ სიურპრიზებს მიიღებთ“.[27]

რა გასაკვირია, რომ აშშ-ის 47-ე პრეზიდენტმა მოღვაწეობა სწორედ განათლების სისტემაზე ზრუნვით დაიწყო. მისი მრწამსი ხომ ცალსახადაა გამოხატული პითაგორას სიტყვებით: „ყოველი მთავრობა იწყება (უნდა იწყებოდეს! დ.ტ.) ჩვენი ახალგაზრდობის განათლებით...“ როცა ფასეულობების, ინტერესთა თანხვედრაზე ვფიქრობ, უნებურად ამოტივტივდება ილია მართალის ნატვრა:

„ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი,


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გამაგონე ჩემს მამულშიც!!!“[28]

როგორც ამერიკელი ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, თუ გამარჯვება გვინდა, აუცილებლად უნდა ვიყოთ აუტენტურნი; სხვაგვარად – ჩვენი დიდი წინაპრებივით ლოგიკურად, ადეკვატურად, რეალობის შესაბამისად მოფიქრალ-მოაზროვნენი.

ამერიკის 47-ე პრეზიდენტის მორიგი შეგონება ამგვარია: „თქვენს მცდელობას გამომგონებლობაში მნიშვნელოვანწილად შეამსუბუქებს რწმენა, რომ ცხოვრებაში არსებობს სასწაული და რომ ხელგაშლილად უნდა შევეგებოთ მას... ოღონდ, არც მხოლოდ მისტიკის იმედად დარჩენას გირჩევდით. წარმატებული ცხოვრება საღ აზრსა და დაუღალავ შრომას მოითხოვს... გირჩევთ ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ ტვინი რაც შეიძლება კარგად მუშაობდეს. ეს, შესაძლოა, წარმატებათა სამყაროში მიწვევად გექცეთ“.[29]

შეგონებანი შეგონებად, ორიოდ დღეში კი მსოფლიო პოლიტიკაზე ახლებური გავლენებისა და ზეგავლენების, გამოწვევების წლები იწყება. უახლესი მოვლენები გამოაჩენს, რას მოუტანს დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდი ჩვენს ქვეყანას, რაგვარი გამოწვევების, სიახლეების წინაშე დაგვაყენებს, თუნდაც, საგარეო პოლიტიკაში. ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს. ვნახოთ, დაველოდოთ. როგორც თავად ორგზის პრეზიდენტი ბრძანებს: ვიფიქროთ პოზიტიურად, მაგრამ რეალობის შეგრძნებაც არ უნდა დავკარგოთ.

ჩვენი ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ნოდარ დუმბაძის ლამაზი არაკივით თქმული ბრძნული ოპტიმიზმით დავასრულებ: „საქართველო ძალიან ლამაზსა და ჯიშიან ბედაურსა ჰგავს, ოქროს უნაგირით შეკაზმულს... ეგ ბედაური ისეთ ლამაზ მდელოზე და გამოსაჩენ ადგილზეა დაბმული, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელს უნდა შეჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარდლის ყიჟინითა და ვაშას ძახილით გააჭენ-გამოაჭენოს. გაჩენის დღიდან ეგრე იყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და



BRAMS Journal No. 12 ISSN 2667-9299 (print)
2025 Volume 6, Issue 1 ISSN 2960-9348 (online)

ფეთიანი, ყველა ნაძირალას არ იჯენს ზურგზე. მხოლოდ ღირსეულებს თუ შეისვამს ხოლმე და იმათაც თუ დაკარგეს ზომიერების გრძნობა, სულ კისრისტეხით გადმოაგდებს და დაანარცხებს დაბლა... ძალიან ბევრი მინახავს ეგეთი“.[30] ვერაფერს ვიტყვი კლასიკოსზე უკეთ...

## ლიტერატურა ▫ References


1. სანიკიძე თამთა (27 დეკემბერი, 2024). პირველი არხის საგანგებო ეთერი – სტუმარი: დიპლომატი კახა სიხარულიძე. „მოამბე“, პირველი არხი. Retrieved from <https://1tv.ge/video/pirveli-arkhis-sagangebo-eteri-stumari-diplomati-kakha-sikharulidze/?fbclid=IwY2xjawQ1TMJleHR>
2. Nicholls, Flynn (2024, November 6). Donald Trump's victory speech in full: Transcript. *Newsweek*. Retrieved from <https://www.newsweek.com/donald-trump-victory-speech-full-transcript-1981234>
3. James, Muriel, and Dorothy Jongeward (1996). *Born to Win: Transactional Analysis with Gestalt Experiments*. Updated and with a New Foreword by the Authors (25th Anniversary ed.). Da Capo Press.
4. Ibid.
5. Nadare, Maia (2020). *The media mill: Political communication*. Tbilisi: Publishing House Universal, pp. 55-83 (In Georgian).
6. Kulua, Lekso (2021). The president of late-night tweets. *BRAMS*, 2(1/2), 81-90, 124-125.
7. *The media mill* (Nadare, 2020), pp. 18-21.
8. *The media mill* (Nadare, 2020), p. 64.
9. Scherer, Michael (2016, December 19). 2016 Person of the year Donald Trump. *Time*. Retrieved from <https://time.com/time-person-of-the-year-2016-donald-trump/>
10. BBC News (2015, June 16). Donald Trump to run for president in 2016. BBC. Retrieved from <https://www.bbc.com/news/world-us-canada-33152947>
11. *The media mill* (Nadare, 2020), pp. 53-54.
12. Tkebuchava, Diana (2024). Reaganomics: Economic Policies of the 40th President of the United State. *BRAMS*, 5(3/4), 9-22.
13. Global Politiks. (2023, April 10). *All Trump advice from The Apprentice for success* [YouTube video]. Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=cH0cVawcxtk>

14. *The media mill* (Nadare, 2020), pp. 140-141.
15. Trump, Donald J. (2024). *Save America*. Winning Team Publishing.
16. Stengle, Jamie (2024, July 21). Attempted assassination of Donald Trump in Pennsylvania. *AP*. Retrieved from <https://apnews.com/article/trump-assassination-attempt-timeline-59e2f4fcdf8379aa2cb5f141825d60a3>
17. Trump, Donald J. (2010). *Think Like a Champion: An Informal Education In Business and Life*. Kindle Edition. Vinguard Press.
18. Einstein, Albert (2024, October 3). Quote: "It's not that I'm so smart, it's just that I stay with problems longer." *Quote Investigator*. Retrieved from <https://quoteinvestigator.com/2024/10/03/smart-stay/>
19. *Think like a champion* (Trump, 2010).
20. Ibid.
21. ტყებუჩავა დიანა (2020). მედიატექსტის ბუნება: ფუნქციურ-ტიპოლოგიური ანალიზი (მეორე გადამუშავებული გამოცემა). თბილისი: „უნივერსალი", გვ. 159-230.
22. *Think like a champion* (Trump, 2010).
23. Ibid.
24. Ibid.
25. Ibid.
26. Pythagoras quote: "The beginning of every government starts with the education of our youth". Retrieved from <https://www.quoteslyfe.com/quote/The-beginning-of-every-government-starts-with-965525>
27. *Think like a champion* (Trump, 2010).
28. ჭავჭავაძე ილია (29 ივლისი, 1860). „მესმის, მესმის სანატრელი..." (ლექსი). ეძღვნება ჯუზეპე გარიბალდის, იტალიის განმათავისუფლებელ მოძრაობას. Poetry. Retrieved from <https://poetry.ge/poets/ilia-chavchavadze/poems/9670.mesmis-mesmis-sanatreli.htm>
29. *Think like a champion* (Trump, 2010).
30. დუმბაძე ნოდარ (1983). ასტვაწ, ინჩუ ჰამარ?! (ღმერთო, რისი გულისთვის?!). Retrieved from <https://www.scribd.com/document/606619621/ასტვაც-ინჩურ-ჰამარ-ნ-დუმბაძე>


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)